ბრძანება № 1-27

გორი 18 04 2023წ.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 აპრილის N09-34 დადგენილებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის (12.04.2023. N411995) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება დანართის შესაბამისად.

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება

1. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „განათლება და ინოვაციები" (შემდგომში - კონფერენცია) ჩატარების წესს.

2. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოსა და საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს.

3. კონფერენციაში მონაწილეობა არ ითვალისწინებს სარეგისტრაციო გადასახადს. კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტი. მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს უნივერსიტეტი არ ანაზღაურებს.

4. კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული, ინგლისური და რუსული.

5. ნაშრომების წარმოდგენა აუცილებელია როგორც ზეპირი, ასევე პოსტერული პრეზენტაციის სახით.

6. მიიღება როგორც ინდივიდუალური, ასევე თანაავტორობით შესრულებული ნაშრომები (არაუმეტეს 2 თანაავტორისა). მონაწილეს ან თანაავტორებს შეუძლიათ წარმოადგინოს მაქსიმუმ ორი სამეცნიერო ნაშრომი. წარმოდგენილი ნაშრომები გაივლიან რეფერირებასა და პლაგიატზე შემოწმებას.

7. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება შემდეგი სამეცნიერო სექციები:

ა) განათლება და პედაგოგიკა;

ბ) მათემატიკა და ინფორმატიკა;

გ) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

დ) ბიზნესი, ეკონომიკა და ტურიზმი;

ე) სოციალური მეცნიერებები და სამართალი;

ვ) ფილოლოგია;

ზ) ისტორია;

თ) სპორტი და სპორტის მენეჯმენტი;

8. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველმა 2023 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე conference@gu.edu.ge უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადი მონაცემების (აპლიკაციის) შევსებული ფორმა დანართი 1 / დანართი 2–ის შესაბამისად;

ბ) სამეცნიერო ნაშრომი.

9. საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი 3-ის მოთხოვნების შესაბამისად.

10. კონფერენციის საორგანიზაციო კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის სათანადო ბრძანებით.

11. კონფერენციის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის სათანადო ბრძანებით.

12. კონფერენციაზე გასატანი სამეცნიერო მოხსენებების მაღალი სამეცნიერო დონის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის რექტორის სათანადო ბრძანებით იქმნება პროგრამული კომიტეტი.

13. კონფერენციაში მონაწილე მომხსენებლებს გადაეცემათ კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

14. კონფერენცია ჩატარდება 2023 წლის 09-10 ნოემბერს ჰიბრიდულ რეჟიმში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირდაპირი შეხვედრის და ზუმის (Zoom) ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

სტუდენტთა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„განათლება და ინოვაციები“

09-10 ნოემბერი, 2023

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორი, საქართველო

აპლიკაციის ფორმა

შეავსეთ და გადმოგზავნეთ მისამართზე: **conference@gu.edu.ge**

ავტორის / ავტორების გვარი, სახელი:
მისამართი:
ტელეფონის ნომერი: მობილური: სახლი:
ელ-ფოსტის მისამართი:
დაწესებულების დასახელება:
სწავლების საფეხური/სწავლების წელი:
ნაშრომის სათაური:

სექცია: ☐ განათლება და პედაგოგიკა ☐ მათემატიკა და ინფორმატიკა ☐ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ☐ ბიზნესი, ეკონომიკა და ტურიზმი ☐ სოციალური მეცნიერებები და სამართალი ☐ ფილოლოგია ☐ ისტორია ☐ სპორტი და სპორტის მენეჯმენტი

ხელმძღვანელის გვარი, სახელი, თანამდებობა:

STUDENTS SECOND INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

"Education and Innovation"

09-10 November, 2023

Gori State University, Gori, Georgia

APPLICATION FORM

Please fill in and send by e-mail: conference@gu.edu.ge

Author's / Authors' name(s), surname(s):

Address:

Phone: Cell phone: Home:

Email:

Name of the Institution:

Level of study/Study year

Title of the paper:

The section:

- ☐ Education and Pedagogy
- ☐ Mathematics and Informatics
- ☐ Exact and Natural Sciences
- ☐ Business, Economics and Tourism
- ☐ Social Sciences and Law
- ☐ Philology
- ☐ History
- ☐ Sports and Sports Management

Name, surname and position of the scientific supervisor:

სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების ტექნიკური ინსტრუქცია და ციტირების სტილი

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ან უცხოურ (ინგლისურ, რუსულ) ენებზე და უნდა გაფორმდეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილით (დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ). ამასთან, ტექსტს უნდა ერთვოდეს ოთხი ან ხუთი საკვანძო სიტყვა, რომლებიც ასახავს ნაშრომის თემატიკას და საკვლევ პრობლემას. ნაშრომი აკრეფილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (.doc გაფართოებით). ფაილის სახელწოდება უნდა იყოს ავტორის გვარი, მაგალითად, Gvasalia.doc ან რამდენიმეს შემთხვევაში, Gvasalia_et_al.doc. ქართულენოვანი ნაშრომისათვის სავალდებულოა Sylfaen შრიფტის, ხოლო უცხოურენოვანი ნაშრომისათვის Times New Roman შრიფტის გამოყენება; შრიფტის ზომა 11 (გარდა სათაურისა, შრიფტის ზომა სათაურისთვის 12), ინტერვალი 1,5; გვერდის პარამეტრები: დაშორება ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან 2 სმ.; ნაშრომს თან უნდა ახლდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და ინგლისურენოვანი რეზიუმე, თითოეული არაუმეტეს 300 სიტყვისა. რეზიუმე მოკლედ უნდა ასახავდეს კვლევის მიზანს, მთავარ შედეგებს და ძირითად დასკვნებს.

ნაშრომის მოცულობა გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 12 ნაბეჭდ გვერდს. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი, დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების წელი, ტელეფონი, ელფოსტა. სტატიის გვერდები ინომრება არაბული ციფრებით.

ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახლება და ნუმერაცია.

საკვანძო სიტყვები - რეზიუმეს თან ახლავს ოთხი ან ხუთი საკვანძო სიტყვა, რომელიც მეტ-ნაკლებად ასახავს ნაშრომის კუთვნილებას სამეცნიერო დისციპლინასთან და განხილულ ძირითად კონცეფციებს. არ გამოიყენება აბრევიატურები, ასევე ზოგადი და რამდენიმე კონცეფციის მომცველი სიტყვები.

ნაშრომის შესავალი - როგორც წესი, შესავალი მოკლედ აჯამებს რელევანტურ კვლევებს, აქვე ავტორი ნათლად უნდა აღწერდეს საკვლევ პრობლემას.

ლიტერატურის მიმოხილვა - ამ ნაწილში ავტორს მოტანილი უნდა ჰქონდეს ნაშრომისთვის შესაბამისი ლიტერატურა.

მეთოდოლოგია - ავტორმა დაწვრილებით და გასაგებად უნდა ახსნას გამოყენებული მეთოდოლოგია. ამ ნაწილში მკითხველი უნდა დარწმუნდეს, რომ მეთოდოლოგია რელევანტურია მოცემული საკითხის კვლევისთვის.

შედეგები/დისკუსია - ამ სექციებში გასაგებად უნდა იყოს გადმოცემული მონაცემთა ანალიზი და მისი შედეგები. ავტორის მიერ გაკეთებული დასკვნები უნდა ემყარებოდეს ემპირიულ მასალას, ამასთან, ავტორმა მკაფიოდ და გასაგებად უნდა დაუკავშიროს მის მიერ მიღებული შედეგები არსებულ თეორიულ მასალას.

ტექსტის ენობრივი ხარისხი - ავტორმა უნდა უზრუნველყოს ენობრივი თვალსაზრისით გამართული ტექსტის მოწოდება. ინგლისურენოვანი ტექსტის შემთხვევაში, უნდა გამოიყენოთ ამერიკული ან ბრიტანული სტილი, თუმცა არავითარ შემთხვევაში - ამ ორის ნარევი. ტექსტში არ უნდა იყოს გრამატიკული შეცდომები.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია

სტატიას ბოლოს უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია, სადაც წარმოდგენილი იქნება სტატიაში გამოყენებული

წყაროები. ლიტერატურა მოცემული უნდა იყოს ორიგინალის ენაზე. ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური პრინციპით (თავდაპირველად ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ - უცხოურ ენებზე).

ლიტერატურის სია ფორმდება შემდეგნაირად:

ტექსტში: (Doniger, 1999, 65)

გამოყენებული ლიტერატურის სიაში:

Doniger, W. (1999). *Splitting the difference*. Chicago: University of Chicago Press.

ციტირების სტილი - გამოსაქვეყნებელ სტატიებში ციტირება და ბიბლიოგრაფია გაფორმებული უნდა იყოს APA (American Psychological Association) სტილის მიხედვით.

ბიბლიოგრაფიის მითითება APA-ს სტილის საფუძველზე[1]

კვლევის ანგარიშის ტექსტში წყაროს მითითება ორი გზითაა შესაძლებელი: სქოლიოს ან „ჩართულის" გამოყენებით. თუმცა, ბოლო პერიოდში „ჩართულის" გამოყენება უფრო პოპულარული გახდა, ვინაიდან მკვლევარნი მას უფრო მოსახერხებლად მიიჩნევენ. „ჩართული" საშუალებას იძლევა, წყარო პირდაპირ ტექსტში, უშუალოდ მოხსენიებისთანავე იყოს მითითებული. APA-ს ფორმატის ფარგლებში „ჩართულის" გამოყენებას შემდეგი წესები აქვს:

• მთლიანი ნაშრომის შეჯამებისას, შეჯამებული პარაგრაფის ბოლოს, ფრჩხილებში მოთავსდება ავტორის გვარი და პუბლიკაციის თარიღი, რომლებიც მძიმით გამოიყოფა;

• თუ ავტორი მოხსენიებულია შეჯამებულ ტექსტში, ფრჩხილებში მხოლოდ პუბლიკაციის თარიღი იქნება მითითებული;

• თუ ავტორიცა და პუბლიკაციის თარიღიც მოხსენიებულია შეჯამებულ ტექსტში, „ჩართულის" გამოყენება საჭირო აღარაა;

• თუ გარკვეული ქვეთავის ან პარაგრაფის პერიფრაზირებას ვახდენთ, ანდა უშუალოდ ციტატა მოგვყავს, ავტორის გვართან და პუბლიკაციის თარიღთან ერთად, აუცილებლად იწერება გვერდის ნომერიც;

• როცა ნაშრომს ორი ავტორი ჰყავს, ყოველი მითითებისას, ჩართულში ორივე ავტორის გვარი იქნება;

• როცა ნაშრომს სამი და მეტი ავტორი ჰყავს, პირველი მითითებისას, ჩართულში ყველა ავტორის გვარი იქნება წარმოდგენილი, შემდგომი მითითებებისას კი – მხოლოდ პირველი ავტორის გვარი და აღნიშვნა „et al.," რაც ნიშნავს „და სხვები.";

• თუმცა პირადი წერილები, სატელეფონო საუბრები და მსგავსი მასალა, რომლის აღდგენაც შეუძლებელია, არ არის მითითებული ბიბლიოგრაფიაში ტექსტის შემდეგ, ისინი აუცილებლად მითითებულია „ჩართულში";

• თუ გარკვეული იდეა რამდენიმე წყაროშია მოხსენიებული, მისი მითითება შემდეგი სახით ხდება:

- ერთი ავტორის რამდენიმე ნაშრომის მითითება, მათი გამოცემის თარიღის მიხედვით ხდება: (შანიძე, 1956, 1962).

- თუ ავტორს ორი ნაშრომი ერთ წელსაა გამოცემული, ისინი შემდეგი სახით უნდა განვასხვავოთ: (შანიძე, 1956ა, 1956ბ).

- სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები მათი გვარების ანბანური თანმიმდევრობის მიხედვით უნდა მივუთითოთ და ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით უნდა დავაშოროთ (შანიძე, 1989; ჩიქობავა, 1983; კვაჭაძე, 1989).

ბიბლიოგრაფია მიეთითება APA-ს ფორმატის მიხედვით:

• წიგნი, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს:

---

[1] **წყარო:** წულაძე ლ., რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, თბ., 2008, გვ. 72-74; ელ-ვერსია: http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

• წიგნი, რომელსაც ორი ან მეტი ავტორი ჰყავს:

I ავტორის გვარი, ინიციალი, და II ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

• წიგნი, რომელსაც რედაქტორი ჰყავს:

ავტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

• სტატია ან დამოუკიდებელი თავი წიგნიდან, რომელსაც ერთი ან რამდენიმე რედაქტორი ჰყავს:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის ან თავის სათაური. წიგნის რედაქტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). *წიგნის სათაური* (გვერდები). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

• ხელახლა გამოცემული წიგნი:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* (მერამდენე გამოცემაა). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

• წიგნი, რომელსაც ავტორი ან რედაქტორი არა ჰყავს:

წიგნის სათაური. (გამოცემის თარიღი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

• მრავალტომიანი ნაშრომი:

ავტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). (გამოცემის თარიღი). *წიგნის სათაური.* (ტომები). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

• ლექსიკონი:

სათაური. (მერამდენე გამოცემაა). (გამოცემის თარიღი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

• სტატია ჟურნალიდან:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის სათაური. *ჟურნალის სათაური,* ტომის ნომერი, გვერდები (არ იწერება გვ.).

• სტატია გაზეთიდან:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის სათაური. *გაზეთის სათაური,* გვერდები (იწერება გვ.).

• დისერტაცია ან ავტორეფერატი:

ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* დისერტაცია, უნივერსიტეტი, მისი მდებარეობა.

• ლექციაზე მიცემული მასალა:

ლექტორის გვარი, ინიციალი. (თარიღი). *სათაური.* მასალა წარმოდგენილი ამა და ამ ლექციაზე, უნივერსიტეტი, მისი მდებარეობა.

• სამთავრობო დოკუმენტი:

სამინისტროსა თუ დაწესებულების სახელწოდება. (გამოცემის თარიღი). *დოკუმენტის სათაური* (პუბლიკაციისა თუ ბრძანების ნომერი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

• არანაბეჭდი წყაროები:

გვარი, ინიციალი. (პოზიცია). (თარიღი). სათაური [ფილმი, ტელეგადაცემა...]. გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

• მასალა ინტერნეტიდან:

ავტორის გვარი, ინიციალი. (ინტერნეტში პუბლიკაციის თარიღი). დოკუმენტის სათაური. *ნაშრომის სათაური სრულად.* ნაშრომის ინტერნეტში მოძიების თარიღი და საიტის მისამართი.